(1998)

ეუთოს მინისტრთა საბჭოს მე-7, ოსლოს შეხვედრის **გადაწყვეტილება საქართველოს შესახებ**

მინისტრები მაღალ შეფასებას აძლევენ ეფექტიან თანამშრომლობას საქართველოსა და ეუთოს შორის. ისინი აღნიშნავენ, რომ ეუთომ უფრო ინტენსიური უნდა გახადოს თავისი ძალისხმევა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, აგრეთვე საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის სფეროს მონიტორინგი.

მინისტრები აღნიშნავენ, რომ საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროგრესის უქონლობა მოითხოვს დამატებით ღონისძიებებს საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხოების ამაღლებისა და კონფლიქტურ ზონაში შეიარაღებასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებით გამჭირვალობის ამაღლების მიზნით.

მინისტრები აღიარებენ განსაზღვრულ პროგრესს ცხინვალის რეგიონში, სამხრეთ ოსეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების, განსაკუთრებით სამხედრო უსაფრთხოების და ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საქმეში. ისინი აღნიშნავენ, რომ გადაუდებლად აუცილებელია ყველა მხარის ძალისხმევის გაზრდა იმ საქმიანობის წინსვლისათვის, რომელიც ეხება ამ პოლიტიკურ მოლაპარაკებებს რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის თაობაზე და ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის ხელშეწყობას.

მინისტრები იმედოვნებენ, რომ ახლო მომავალში მიღწეული იქნება არსებითი პროგრესი აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში; ისინი გადაჭრით გმობენ გალის რაიონში, აფხაზეთი, საქართველო, 1998 წლის მაის-ივნისში მომხდარ ძალადობის აქტებს, რამაც გამოიწვია მასობრივი ნგრევა და ქართული მოსახლეობის ძალდატანებითი განდევნა. ამასთან დაკავშირებით ისინი იხსენებენ გაეროს მრავალრიცხოვან დოკუმენტებს, ბუდაპეშტში მიღებულ ეუთოს გადაწყვეტილებებს, და განსაკუთრებით, ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრის დეკლარაციას, სადაც აღნიშნული იყო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ყველაზე უფრო მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ისინი აგრეთვე გმობენ ტერორისტულ საქმიანობას, აღნიშნავენ, რომ აუცილებელია ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავება, დიდი მნიშვნელობა აქვს გალის რაიონში ლტოლვილთა სწრაფ, დაუყონებლივ, უსაფრთხო დაბრუნებას და ამ საკითხზე ორმხრივი მოლაპარაკებების, როგორც კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების წინაპირობის, დაუყონებლივ დასრულებას.

მინისტრები აღნიშნავენ, რომ ჟენევის პროცესი არის აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების წამყვანი ფორმატი და რომ მთავარი პასუხისმგებლობა ამ პროცესის წინსვლაში გაეროს აკისრია. ისინი აცხადებენ, რომ ეუთო მზადაა ხელი შეუწყოს გაეროს ძალისხმევას და მიმართავენ გაეროს და გაეროს გენერალური მდივნის მეგობრების ჯგუფს, როგორც ჟენევის პროცესის ინიციატორებს და რუსეთის ფედერაციას, როგორც ხელშემწყობ მხარეს, მოწოდებით, გააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებათა და ხელშეკრულებათა შესრულების მიზნით. ისინი მიმართავენ აგრეთვე ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს თხოვნით იქონიოს მჭიდრო კონტაქტი გაეროს გენერალური მდივნის მეგობრებთან ყველა საკითხზე, რომელიც ეხება აფხაზეთს, საქართველო. ისინი აცხადებენ, რომ ეუთო მზადაა მონაწილეობა მიიღოს საბოლოო და ყოვლისმომცველი მოწესრიგების განხორციელებაში, გალის რაიონის ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის დახმარების აღმოჩენის ჩათვლით, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რაც ეხება კონფლიქტის ზონაში დანაშაულობათა გამოძიების ერთობლივ მექანიზმებს და სამართლდამცავ ორგანოებს.

მინისტრები აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უზრუნველყოფას, ლტოლვილთა დაუბრკოლებელი და უსაფრთხო დაბრუნების მონიტორინგის, სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების ხელშეწყობას, განსაკუთრებით, გალის რაიონში დაბრუნებულ პირთა მონაწილეობით ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნას შეუძლია წვლილი შეიტანოს აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში. ამასთან დაკავშირებით, ისინი მიმართავენ ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს თხოვნით გაეროს გენერალურ მდივანთან ერთად ეუთოს ჩარჩოებში ჩაატაროს შესაბამისი კონსულტაციები გალის რაიონში ეუთოს ბიუროს შექმნის მი-

ზანშეწონილობის შესასწავლად. მინისტრები აღნიშნავენ, რომ მიღებული უნდა იყოს ყველა აუცილებელი ღონისძიება ამ ბიუროს თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მინისტრები მხარს უჭერენ ქართულ-აფხაზურ დიალოგს, კერძოდ, ნდობის განმტკიცების ღონისძიებებს, მინისტრები აგულიანებენ მხარეებს იმოქმედონ ნდობის განმტკიცების შესახებ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და გააგრძელონ იმ წინადადებათა შესწავლა, რომლებიც წარმოდგენილი იყო აფხაზეთის, საქართველო, საკითხებთან დაკავშირებით ათენის შეხვედრაზე. თუ ყველა მხარე დაეთანხმება, რომ ამგვარი შეხვედრა მოეწყოს სტამბოლში, მაშინ ეს შეხვედრა შეიძლება კარგი შანსი გახდეს. მინისტრები აღნიშნავენ სოხუმში ადამიანის უფლებათა საკითხებზე გაერო-ეუთოს ბიუროს შესაძლო როლს მონიტორინგსა და ორ მხარეს შორის ნდობის განმტკიცების ნებისმიერი ზომების განხორციელების ხელშეწყობაში.

კვლავ აცხადებენ რა, რომ აღდგენითი ღონისძიებები ვერ შეცვლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას, მინისტრები აღიარებენ კონფლიქტის ზონებისა და რაიონების აღდგენის და ლტოლვილთა დაბრუნების მნიშვნელობას კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის წინსვლის საქმეში. ისინი მოუწოდებენ ყველა მხარეს შექმნან შესაბამისი პირობები იმისათვის, რათა რეალიზებული იქნეს ამგვარი ზომები; ისინი კისრულობენ შეისწავლონ იმის უზრუნველყოფის შესაძლებლობანი, რომ ეუთომ ამ მიმართებით უფრო აქტიური როლი ითამაშოს საქართველოში ამ სფეროში უკვე მოქმედ საერთაშორისო დონორებთან და ინსტიტუტებთან მჭიდრო კონტაქტით და მათი საქმიანობის შესავსებად.

ოსლო, 1998 წლის 1 დეკემბერი.

(www.osce.org; აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წ. წ. ნაწილი I I. 1995-1999 წ. წ., ავტორები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თბილისი, 2000, გვ. 271-272. საკუთარი თარგმანი)